პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 130 (12338) | სამშაბათი, 5 ივნისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ადგილობრივი ამბები

კომბაინერებო, ტემპი!

10 დღეში 200 ჰექტარი

ბაზეთ „კომუნისტში“ წავიკითხე ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობის კომბაინერის მიხეილ მჭედლიძეს

ძვირფასო მიხეილ! გაზეთ „კომუნისტში“ ამხანაგებთან ერთად დიდი სიამოვნებით წავიკითხე თქვენი წერილი „მოდით მოვაწყოთ კომბაინერთა შეჯიბრება!“. თქვენ მეტად სასახელო საქმე ითავეთ. დროულია გაჩაღდეს კომბაინერთა შეჯიბრება. ჩვენთან მალე უანები სიმწიფეში შევა. მოსავალს კარგი პირი უჩანს. კომბაინები შეკეთებულია. მზად ვართ მოსავლის აღებისათვის და აი, თქვენი წერილიც გამოჩნდა.

აღფრთოვანებით ვიღებ გამოწვევას და ვკისრულობ ვალდებულებას, რომ 10 სამუშაო დღეში 200 ჰექტარზე უდანაკარგოდ ავიღო პურეული, სამუალოდ ჰექტარზე 17 ცენტნერი მარცვლეული გავლეწო.

ი. მამუკაშვილი,
გორის რაიონის სოფელ სკრის კოლმეურნეობის კომბაინერი.

ვიღებ გამოწვევას

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის გორკის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერს მიხეილ მჭედლიძეს

ძვირფასო მიხეილ! გაზეთ „კომუნისტში“ ამხანაგებთან ერთად დიდი სიამოვნებით წავიკითხე თქვენი წერილი „მოდით მოვაწყოთ კომბაინერთა შეჯიბრება!“. თქვენ მეტად სასახელო საქმე ითავეთ. დროულია გაჩაღდეს კომბაინერთა შეჯიბრება. ჩვენთან მალე უანები სიმწიფეში შევა. მოსავალს კარგი პირი უჩანს. კომბაინები შეკეთებულია. მზად ვართ მოსავლის აღებისათვის და აი, თქვენი წერილიც გამოჩნდა.

აღფრთოვანებით ვიღებ გამოწვევას და ვკისრულობ ვალდებულებას, რომ 10 სამუშაო დღეში 200 ჰექტარზე უდანაკარგოდ ავიღო პურეული, სამუალოდ ჰექტარზე 17 ცენტნერი მარცვლეული გავლეწო.

ი. მამუკაშვილი,
გორის რაიონის სოფელ სკრის კოლმეურნეობის კომბაინერი.

ინიციატორთან

ამ დღეებში სიღნაღის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალი ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის გორკის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერმა მიხეილ მჭედლიძემ მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის უველა კომბაინერს და იკისრა ვალდებულება 10 სამუშაო დღეში პურეული მომკას 150 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე გალეწოს 18-20 ცენტნერი მარცვალი.

კომბაინერი, მ. მჭედლიძე უკვე შეუდგა ნაკისრი ვალდებულების განაღდებას.

ყოველდღე 12 ჰექტარი ნაცვლად 8 ჰექტარისა! ეს მაჩვენებელი შეჯიბრების ინიციატორს მ. მჭედლიძეს ეკუთვნის. მან 8 დღეში ქერი უკვე მომკა 96 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე გალეწა 18-20 ცენტნერი მარცვალი.

ალაზნის მაღლმოყრილ ველზე ზაფხული შემობრძანდა. მიდამოს მცხუნვარე მზე დაჰკაჰკაჰებს. ქერმა პაპანაქებას ველარ გაუძლო. მარცვალმრავალმა თავთავებმა თავი დაბარეს, მომკელთ უხმობენ.

გუგუნებენ ველის ხომალდები

თვალუწვდენელ ველზე მინდვრის ხომალდები აგუგუნდნენ. მარცვლით დატვირთული ავტომანქანების ქარავანი ციგამბორის მთების კალთებზე შეფენილი სოფლებისაკენ დაიძრა. მწვანით შემოჭარგულ კალოებზე მარცვალს წმენდენ, ახმობენ და საგულდაგულოდ ახინავებენ.

ტბაანის ხაურდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობის მინდვრებზე დიდი გამოცოცხლებაა. ახე რომ არა, მოსავლის აღება დაგვიანდება, დოვლათი დაზარალდება. თავთავიანი კულტურების აღება, 1.702 ჰექტარზე რომ უთესიათ, ათ-თორმეტ დღეში გადაწყვიტეს.

ქერი სამარცვლედ 268 ჰექტარზეა დათესილი. ფერმისპირა ნაკვეთები ორას ჰექტარს აღემატება. აქაც ქერი იყო დათესილი. მოსავალი აქაც უხვია.

სამამულო ომი რომ დაიწყო, სიმონ ბეჟანიშვილმა უფროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო. მისმა ნაწილმა ბევრი ფაშისტის მარჯვენა დაამიწა. ახლა იგი მარტო ტიბაანში კი არა, მთელ სიღნაღის რაიონში წარჩინებულ მექანიზატორად ითვლება. ხვნა-თესვა, ნათესების კულტივაცია, მოსავლის აღება — ყველაფერში წილი უდევს. „ს-4“ მარკის კომბაინს შეუფერხებლად ამუშავებს. ბუნკერიდან პირველი ასი ცენტნერი ქერი გადმოტვირთა.

ომის დროს არც სიმონის ძმა ხარტონ ბეჟანიშვილი იჯდა თბილ კერასთან. იარაღით ხელში ფაშისტ ქვეწარმავალთ ანადგურებდა. ახლა შრომის ფრონტზე მამაცობს. ხვნა-თესვა, კულტივაცია, — ერთიც ემარჯვება და მეორეც. მაგრამ მოსავლის აღება მაინც ყველაზე მეტად ეხალისება. დღე არ გავა ისე, რომ მკის დავალება ორმაგად არ გაანაღლოს.

— ხომ არ ემდურით შვიდწლედის მეოთხე წლის მოსავალს?

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ბრეგვაძე პასუხისათვის არ დაფიქრებულა, ოქროსფრად მოელვარე უანებს თვალი მოავლო და გვითხრა:

— ვერ ვიტყვით, რომ გვალვამ არ გვაზარალა, მაგრამ მოსავალი მაინც უხვია. მარშანდელთან შედარებით ჰექტარზე რვა-ცხრა ცენტნერით მეტ ქერს ვიღებთ. არც ხორბალი გვექნება ცოტა. საწყობებში ორ ათას ტონაზე მეტ მარცვალს დავახვავებთ.

ტიბაანელები აქედანვე ემზადებიან პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის. საკვებს ბევრს ამზადებენ. მომკილი ნაკვეთებიდან სწრაფად გამოაქვთ ნამჯა, ფერმებთან მიაქვთ და ზვინავენ. წელს ხუთი ათასი ტონა სილოსი უნდა ჩადონ. საამისოდ დიდძალი მწვანე მასა სჭირდებათ. ნაწვერალზე 350 ჰექტარსა და 150 ჰექტარ ბარდას თესავენ. მექანიზატორები ნამჯისაგან გაწმენდილ ნაკვეთებს ღამით ხნავენ და დღისით თესავენ. ამ საქმის პირველი მერცხლები არსენ ხატიაშვილი და რუზან გურაშვილი არიან. მათ პირველი ათი ჰექტარი სიმინდი დათესეს.

ქერის მკა დაიწყო ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობაშიც. ამ საქმეზე უველადღიურად შვიდი კომბაინი მუშაობს. პირველ დღეს აგრეგატების ბუნკერებიდან ხუთასი ცენტნერი მარცვალი გადმოტვირთეს.

წნორი, ანაგა, ვაქირი. თითქმის უველგან გაჩაღდა მოსავლის აღება. სიღნაღის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო უველადღიურად სასიხარულო ცნობებს იღებს.

ს. ჟოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: ტიბაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ბრეგვაძე (მარცხნივ) და აგრონომი ე. ხატიაშვილი.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

გუშინ პლანტაციებში

მახარაძე. დიდ წარმატებას მიაღწია სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ტატიანა ჩხაიძემ. მან ერთ დღეს მოკრიფა 85 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სულ მოკრეფილი აქვს 3.400 კილოგრამი. სოციალისტური შრომის გმირმა შურა კუბუსიძემ მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მაშო ჩხაიძემ — 60 კილოგრამი, ანიკო ჭკუასელიმ და დარიკო ჭაგანელიძემ — 65 კილოგრამი.

ჩხოროწყუ. სოფელ ჩხოროწყუს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში თავი ისახელა დუშა ქარჩავამ. მან მოკრიფა 72 კილოგრამი „მწვანე ოქრო“, სულ მოკრეფილი აქვს 1.700 კილოგრამი, მაისის დავალება 120 პროცენტით გაანაღდა. ამავე კოლმეურნეობის წევრმა ლუნა პაპასკირმა მოკრიფა 65 კილოგრამი, თამარ სორდიამ — 58 კილოგრამი, თალიკო ვეკუამ — 48 კილოგრამი. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მაისის დავალება და იბრძვიან ივნისათვის, რომ ივნისის დავალება 15 ივნისამდე გაანაღდონ.

წულუკიძე. ქალაქის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილმა მეჩაიემ იზოლდა წოწონავამ ერთ დღეს მოკრიფა 150 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, დღიური ნორმა ხუთმაგად შეასრულა. სულ მოკრეფილი აქვს 2.400 კილოგრამი.

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების დელეგაციას

მოსკოვი, 4 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დღეს მიიღო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს კრების თავმჯდომარე, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ზდენეკ ფირლინგერი.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

საბჭოთა და კუბელი ახალგაზრდობის მიტინგზე კრემლში 1962 წლის 2 ივნისს

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენო ახალგაზრდა კუბელო მეგობრებო!

ნება მიბოძეთ მოგესალმოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ძალიან კარგი აზრი გამოთქვა ამხანაგმა ფიდელ კასტრომ — პირველმა მან თქვა, რომ ათასი ახალგაზრდა კუბელი წამოსულიყო საბჭოთა კავშირში, ხოლო კუბაში საბჭოთა ახალგაზრდობა ჩასულიყო, რათა ახალგაზრდა კუბელებს ემუშავნათ ჩვენში, მიეღოთ პროფესიული ცოდნა და, რაც მთავარია, ეცხოვრათ ჩვენს ახალგაზრდებს შორის, ჩვენს ხალხში. ჩვენი ახალგაზრდებისთვისაც სასარგებლო იყო წასულიყვნენ კუბაში, ჩვენი კუბელი ძმებისათვის გაეზიარებინათ თავიანთი ცოდნა, ემუშავნათ კუბელ ხალხში, უკეთ ეგრძნოთ ის რევოლუციური სულისკვეთება, რომლითაც ასე ისახელა თავი კუბელმა ხალხმა თავისი თავისუფლებისათვის, თავისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, კუბის ტირანების — ბატისტას და ამერიკელ იმპერიალისტთა სხვა აგენტების წინააღმდეგ ბრძოლაში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

აი წელწადი, რომ იტყვიან, შეუმჩნევლად გავიდა. არ ვილაპარაკებ იმაზე, თუ როგორ მუშაობდით თქვენ, როგორ ცხოვრობდით, როგორ მეგობრობდით, რადგან ეს მხოლოდ ინფორმაციით ვიცი, თქვენ კი თვითონ მუშაობდით, თვითონ მეგობრობდით ჩვენს ახალგაზრდობასთან.

ჩვენ დიდად კმაყოფილი ვართ თქვენი ყოფნით საბჭოთა კავშირში, და ვხედავ, რომ თქვენც კმაყოფილი ხართ. ახლა ჩვენ საზეიმო ვითარებაში გაცილებთ. თქვენ დღესასწაულზე როდი დაბრუნდებით შინ, თქვენ დიდი, ბეჯითი შრომა და ბრძოლა მოგელით. რევოლუცია მოითხოვს, რომ თქვენ გამოიჩინოთ დიდი სიმტკიცე და იმ პროცესების ღრმა გაგება, რომლებიც ახლა კუბაში ხდება. მტერთან შეიარაღებული ბრძოლა მძიმე ბრძოლაა. მაგრამ ეს მძიმე შეიარაღებული ბრძოლა უფრო გასაგებია ხალხის უაღრესად ფართო ფენებისათვის, რადგან იმის გაგება, თუ ვინ არის მტერი, როცა იგი ბარიკადებს იქით დგას, არა მარტო ჭკუით, არამედ გრძნობითაც კი შეიძლება. ის ხომ გესვრის შენ, ხოლო შენ უნდა ესროლო მას, თუ გინდა გაიმარჯვო, თუ გინდა გადარჩე.

ხალხისათვის, ახალგაზრდობისათვის უფრო რთული პირობები იქმნება მას შემდეგ, რაც მტრები ბრძოლაში მარცხდებიან. მტრები დამარცხებული არიან, მაგრამ ისინი რჩებიან ხალხში. და მაშინ აშკარა შეიარაღებული ბრძოლის ნაცვლად ბრძოლის ფარული პროცესი წარმოებს. ეს უფრო რთული ბრძოლაა, და ამიტომ იგი უფრო ღრმა გაგებას, მეტ რევოლუციურ გამოცდილებას, შენიღბული მტრის გამოცნობის უნარს მოითხოვს. მტერი თქვენს წინააღმდეგ შაშხანით შეიარაღებული როდი ელა გამოდის, მას შეიძლება მუშის ისეთივე ბლუზა ეცვას, როგორიც თქვენ. იგი ახლა პირდაპირ როდი მოქმედებს, აშკარად როდი მოუწოდებს ფიდელ კასტროს წინააღმდეგ, რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი გველივით შემოძვრება თქვენს რიგებში, ცდილობს დაარღვიოს კუბელი რევოლუციონერების, კუბელი ხალხის ერთიანობა, რათა გზა გაუკვალოს ზღვასგაღმელ მტრებს. ისინი კი ამას ელოდებიან.

ბევრი კუბელისათვის ეს საკითხი განმარტებას მოითხოვს. კუბამ დამარცხა მტრები, მაგრამ კუბას თავისი სიძნელეებიც აქვს. რევოლუციის სიბრძნე და ძალა ის არის, რომ იგი წარმატებით ძლევს სიძნელეებს. როცა ჩვენმა რევოლუციამ ლენინის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა, საბჭოთა ქვეყნის ხალხებს დასჭირდათ ეწარმოებინათ ბრძოლა კონტრრევოლუციის ძალების წინააღმდეგ. თეთრგვარდიელთა და 14 ქვეყნის ინტერვენტთა განადგურების შემდეგ, რომლებიც ჩვენ გვეომებოდნენ, სამოქალაქო ომის დროინდელზე ნაკლები სიძნელეები როდი წარმოიშვა. უნდა აღგვედგინა ფაბრიკები, ქარხნები, მაღაროები, მოგვეპოვებინა ქვანახშირი, გაგვევითარებინა წარმოება, რადგან მოთხოვნილება იზრდებოდა და საჭირო იყო მისი დაკმაყოფილება. მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ წარმოების აღმავლობის საფუძველზე, როცა შრომით იქმნება ახალი ფასეულობანი ხალხის საკეთილდღეოდ.

ეს რთული ამოცანები იყო. მაგრამ ჩვენ სიჭაბუკე, რევოლუციის პირველი წლები, სამოქალაქო ომი. გაცილებით უფრო ადვილი იყო წითელარმიელებთან საუბრების წარმოება სამოქალაქო ომის დროს, ვიდრე ახალი ამოცანების განმარტება, როცა სამოქალაქო ომიდან დავბრუნდი და ვმუშაობდი მაღაროებში, იმავე მაღაროებში, სადაც რევოლუციამდე მემუშავნა. ბევრმა თქვენგანმა უნდა გაიაროს ეს გზა.

ჩვენი ხალხი აუჯანყდა ცარიზმსა და კაპიტალიზმს იმიტომ, რომ ეს ხალხი ღარიბი, ჩაგრული და გაძარცული იყო. მაგრამ, ხალხი რომ იმარჯვებს, სიმდიდრე ერთბაშად როდი მატულობს. რევოლუციის გამარჯვებისა და ძალაუფლების მოპოვების შემდეგ ხალხმა უნდა ააშენოს მრეწველობა, აამაღლოს სოფლის მეურნეობა, საჭიროა დიდი შრომა იმის მისაღებად, რისთვისაც იბრძოდა ხალხი რევოლუციაში, რისთვისაც სისხლს ღვრიდა, რასაც ადამიანები სიცოცხლეს სწირავდნენ.

ამ პირობებში სხვა ამოცანები ისახება, აქ სროლა კი არ არის საჭირო, რადგან მტერი დამარცხებულია, აქ ბარს უნდა მოჰკიდო ხელი და იმუშაო. ოფლად იღვრები, მაინც უნდა იმუშაო და იმუშაო. ხოლო როცა მუშობ, მაგრამ ცოტას იღებ, რადგან ჯერჯერობით ბევრი სიმდიდრე არ არის შექმნილი და სახელმწიფო ვერ აკმაყოფილებს ხალხის ყველა მოთხოვნილებას, მაშინ ზოგი ვინმე ასე იწყებს ლაპარაკს: რა გამოვიდა, აი ფიდელ კასტრო მოგიწოდებდა რევოლუციისათვის, ჩვენ მას გავყევით. ბატისტა დავამარცხეთ, ახლა კი ხორცი გვაკლია, ბრინჯი გვაკლია, რძე გვაკლია, — რაღა რევოლუციაა ეს?! **(გამოცოცხლება დარბაზში).**

აი ამიტომ აქ საჭიროა არა მარტო გმირობა, არა მარტო იმის უნარი, რომ იარაღით ხელში შეხვდე მტერს, ეკვეთო კიდევაც მტერს, არ შეეპუო ტყვიამფრქვევს. აქ საჭიროა ვითარების დიდი შეგნება. გაგება. აი თითქოს მივაღწიეთ გამარჯვებას, უკვე მშვიდობაა, ომი აღარ არის, მაშ მოიტა ხორცი, მოიტა შაქრის ლერწამი, აკეთე შაქარი და ყველა ჰკვებე. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

დიახ, ამხანაგებო, ერთი შეხედვით ეს უბრალო რამ არის. მაგრამ იმისათვის, რომ ამას მიაღწიო, საჭიროა დიდი და ძნელი გზა განვლო. უნდა აშენდეს ქარხნები, შეიქმნას მანქანები, ამაღლდეს კულტურა, ყველა ადამიანმა განათლება მიიღოს. ყოველივე ეს მოითხოვს მეცადინეობასა და დიდ დროს.

და აი აქ უნდა გამოიჩინო იმის გაგება, რომ დღეს მუშაობ იმისათვის, რომ ხვალ ცხოვრება დღევანდელზე უკეთესი იყოს.

რევოლუციამდე მეშახტედ ვმუშაობდი, მამაჩემიც მაღაროებში მუშაობდა. პირველ მსოფლიო ომამდე მუშა მატერიალურად უკეთ იყო უზრუნველყოფილი, ვიდრე სამოქალაქო ომის დროს და თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა განადგურების შემდეგ პირველ პერიოდში. დიახ, უკეთ. რატომ? იმიტომ, რომ რა ჩამორჩენილიც უნდა ყოფილიყო მეფის რუსეთი, მისი ხალხი მაინც შრომობდა, მუშები და გლეხები მატერიალურ ფასეულობას ქმნიდნენ. სამოქალაქო ომის დროს რუსეთინ ეკონომიკა მოიშალა. ჩვენ ახლად უნდა შეგვექმნა ეს ფასეულობანი. იმ შახტში. სადაც მე ვმუშაობდი რევოლუციამდე, ბევრ ქვანახშირს ვიღებდით და ქვეყნის სხვადასხვა რაიონში იგზავნებოდა. როცა წითელი არმიიდან მაღაროს დავუბრუნდი, ეს შახტი ისე ცოტა ქვანახშირს იღებდა, რომ თავის ელექტროსადგურსაც კი ვერ უზრუნველყოფდა.

აი რა მძიმე მდგომარეობა იყო ჩვენს ქვეყანაში. მაშინ საჭირო იყო შეგვეგნო, რომ ეს დროებითი სიძნელეები იყო, რომ ხალხი უნდა შეკავშირებულიყო, დარაზმულიყო, დაეძლია სიძნელეები. განვითარებინა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, აემაღლებინა მეცნიერება, განათლება. საჭირო იყო შეგვეგნო, რომ როცა ყოველივე ეს გაკეთდება, თავისუფალი ხალხი შექმნის ისეთ ფასეულობებს, რომლებზეც წინათ არც უოცნებია. მაგრამ იმისათვის, რომ ეს გააკეთოს, ადამიანს მოეთხოვება ხალხის წინაშე მდგომი ამოცანების ღრმა გაგება, საჭიროა დიდი სიმტკიცე.

აი თქვენ დაბრუნდებით კუბაში და შეგხვდებათ ერთგვარი სიძნელეები. ეს სიძნელეები ისეთი როდია, როგორიც ჩვენ გვქონდა რევოლუციის პირველ წლებში, მაგრამ სიძნელეები გარდუვალია. თქვენ, მებრძოლებს, მოგეთხოვებათ პოლიტიკური, იდეური სიმტკიცე, რათა მიაღწიოთ კიდევ უფრო დიდ შეკავშირებას თქვენი პარტიის ხელმძღვანელობით, შესანიშნავი კუბელის — ციმით ამაყობს არა მარტო კუბა, არამედ მთელი რევოლუციური სამყარო — ფიდელ კასტროს, უშიშარი ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. მისასალმებელი შეძახილები ფიდელ კასტროს პატივსაცემად).**

აი ხედავთ, ნაცვლად პოეტური მისასალმებელი სიტყვებისა, რომლებისთვისაც თქვენ ალბათ მოემზადეთ, მე მკაცრი პროზით გელაპარაკებით, რადგან ახლა თქვენ უნდა ემზადოთ შრომისა და ბრძოლისათვის, შრომისა და ბრძოლისათვის! **(მქუხარე ტაში).**

კუბა თავისუფალი ქვეყანაა, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა და ამერიკის იმპერიალიზმის აგენტები განდევნა. მაგრამ თქვენ ყველაზე ძლიერი იმპერიალისტური სახელმწიფოს გვერდით ხართ. იმპერიალიზმი ვერ მოისვენებს, როცა ძლევამოსილად ფრიალებს კუბის დროშა თავისუფალ კუბის მიწა-წყალზე, დროშა, რომელიც კუბელმა ხალხმა აღმართა ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

თქვენი მდგომარეობა რამდენადმე უფრო მსუბუქია, ვიდრე თავის დროზე იყო ჩვენი მდგომარეობა, რადგან ჩვენ პირველი ვიყავით და ჩვენი ქვეყანა მრავალი წლის მანძილზე სოციალიზმის ერთადერთი ქვეყანა იყო. ახლა აი თქვენ შესძენილი და ჩამოხვედით საბჭოთა კავშირში, ერთ წელიწადს იცხოვრეთ ჩვენს ქვეყანაში, იმუშავეთ და, რომ იტყვიან, იგრძენით კომუნისტური მშენებლობის პათოსი. და, გარდა ამისა, ჩვენ კიდევ ზოგი რამით ვეხმარებით კუბას — იარაღითაც და სხვა რამითაც. და მომავალშიც აღგითქვამთ დახმარების გაწევას. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

მაგრამ დახმარება, თუნდაც იარაღით დახმარება, მაშინ შველის საქმეს, როცა ეს იარაღი მაგრად უჭირავთ ხელში იმათ, ვისაც იგი ეძლევა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. ეს კი დამოკიდებულია ხალხის შეკავშირებაზე, ხოლო შეკავშირება დამოკიდებულია ხალხის სიმწიფეზე.

ამიტომ, ახალგაზრდა მეგობრებო, მოგიწოდებთ იმისათვის, რომ თქვენი რევოლუციური პარტიის, თქვენი ხალხის, თქვენი მთავრობის ერთგული ჯარისკაცები იყოთ, რომ ფიდელ კასტროს, — რევოლუციის საქმის, ხალხის საქმის ამ უერთგულესი აღმიანის — ხელმძღვანელობით იაროთ წინ, ყურად იღოთ მისი ხმა და მის მოწოდებას ყოველთვის უპასუხოთ საბრძოლო საქმეებით, იაროთ წინ შეკავშირებული რიგებით, რათა დაძლიოთ სიძნელეები პარტიის ხელმძღვანელობით, მთავრობის ხელმძღვანელობით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! სოციალიზმის მშენებლობა, კომუნიზმის მშენებლობა მაღალ შეგნებულობას, გონებასა და დიდ შრომას მოითხოვს. უკვე 44 წელზე მეტი გავიდა, რაც ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, დავიწყეთ სოციალიზმის აშენება, ახლა კი კომუნიზმს ვაშენებთ. ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ, ბევრ რამეს მივაღწიეთ. ჩვენ პირველმა გავუშვით კოსმოსში დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები, ჩვენმა კოსმონავტებმა პირველმა შეაღწიეს კოსმოსურ სივრცეში. მე ვხედავ, ყველა უყურებს იური გაგარინსა და გერმანე ტიტოვს. ჩვენ მივესალმებით ჩვენს გმირ კოსმონავტებს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. დამსწრენი დგებიან და ფეხზე მდგომნი მიესალმებიან იური გაგარინსა და გერმანე ტიტოვს).**

ჩვენ უმსხვილესი ინდუსტრია შევქმენით და შემდგომ ვავითარებთ მას. ჩვენ ავამაღლეთ სოფლის მეურნეობა, ტექნიკურად ხელახლა შევაიარაღეთ იგი, მოვასპეთ კავი. თქვენ თვითონ მუშაობდით ჩვენში და საქმე გქონდათ ტრაქტორებთან, კომბაინებთან და სხვა რთულ ტექნიკასთან.

1953-დან 1961 წლამდე სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია ჩვენს ქვეყანაში 1.6-ჯერ გადიდდა. მარცვლეულის წარმოება ამ პერიოდში ხუთ მილიარდ 36 მილიონი ფუთიდან გაიზარდა 8 მილიარდ 422 მილიონ ფუთამდე, და ახლა ჩვენი ქვეყანა მთლიანად იკმაყოფილებს მოთხოვნილებას სასურსათო მარცვლეულზე. ხორცის წარმოება ამავე დროის განმავლობაში 5 მილიონ 800 ათასი ტონიდან გაიზარდა 8 მილიონ 800 ათას ტონამდე, რძისა — 36 მილიონ 500 ათას ტონიდან 62 მილიონ 500 ათას ტონამდე, შაქრისა — 3 მილიონ 434 ათასი ტონიდან 6 მილიონ 85 ათას ტონამდე. ამავე ხნის განმავლობაში, ესე იგი 1953 წლიდან, ხორცისა და ხორცის პროდუქტების გაყიდვა სახელმწიფო სავაჭრო ქსელში გადიდდა 1 მილიონ 757 ათასი ტონიდან 4 მილიონ 33 ათას ტონამდე, რძისა და რძის პროდუქტებისა — 1 მილიონ 980 ათასი ტონიდან 9 მილიონ 393 ათას ტონამდე, კარაქისა — 330 ათასიდან 632 ათას ტონამდე, შაქრისა — 2 მილიონ 410 ათასი ტონიდან 4 მილიონ 550 ათას ტონამდე.

ეს ძალიან დიდი მიღწევებია, ამხანაგებო. მაგრამ, ამ მიღწევების მიუხედავად, ჩვენ ჯერ კიდევ განვიცდით სიძნელეებს და არცთუ მცირე სიძნელეებს. საქმე ის არის, რომ წარმოების გადიდების პარალელურად ჩვენ გავადიდეთ პენსიები, გავუდიდეთ ხელფასი მცირეხელფასიან მუშა-მოსამსახურეებს, განვახორციელეთ სხვა ღონისძიებანი, და ყოველივე ამის შედეგად უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გადიდდა მოსახლეობის ფულადი შემოსავალი. და აი წავაწყდით იმით გამოწვეულ სიძნელეებს, რომ ხალხს ფული მეტი აღმოაჩნდა, ვიდრე არის საქონელი, რომელსაც აწარმოებენ ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. მატერიალურ ფასეულობებს აწარმოებს თვით ხალხი და არა მთავრობა. მთავრობა მხოლოდ ხელმძღვანელობს და წარმართავს, ხოლო ხალხია ყველაფრის შემქმნელი.

ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როცა ჩვენ, სოციალისტურ ქვეყანას, საბჭოთა კავშირს, საბჭოთა მთავრობას, ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება, რომელიც გუშინ გამოცხადდა. რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილებას კარგად ხვდებიან კოლმეურნეები, რომლებიც ახლა უფრო მაღალ ფასად გაჰყიდიან თავიანთ პირუტყვს. ასეთ მომატებას ყოველთვის უკრავენ ტაშს, აქ განსაკუთრებით დიდი შეგნება არ არის საჭირო.

სხვანაირად ხვდება ამას ქალაქის მოსახლეობა, რომელმაც ხორცი და ხორცის პროდუქტები უფრო მაღალ ფასებში უნდა იყიდოს. ხალხს ესმის ფასების გადიდების შესახებ გადაწყვეტილების საჭიროება, მაგრამ არ ვიტყოდი, რომ ეს სასიამოვნო იყოს ხალხისათვის. და ხალხს ესმის, რომ ეს გადაწყვეტილება მით უფრო არასასიამოვნოა ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობისათვის. მე, როგორც ცენტრალური კომიტეტის მდივანი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გაცილებით უფრო ადვილად მოვაწერდი ხელს ასეთ გადაწყვეტილებას: ყველას ყველაფერს ვურიგებთ, არავის არაფერს არა ვთხოვთ. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).** ეს შეიძლებოდა გვექნა. მაშინ მე ვიკლიდი და ვიტყოდი: ხედავთ, ყველა ადამიანი მოგვესალმება, ყველა კმაყოფილია, იმიტომ რომ ყველას ვურიგებთ-მეთქი. სხვა საქმეა, როცა ხელს მოაწერ ისეთ გადაწყვეტილებას, რომლითაც ერთ კატეგორიას აძლევ, მეორეს კი ეუბნები: შენ უნდა მიხვდე, რომ ეს დროებითი სიძნელეებია, მაგრამ შენ ეს სიძნელეები უნდა გაიარო. რა თქმა უნდა, იგი გაივლის და ზოგჯერ ამბობს: ეჰ, კარგი იყო, რომ არ გამომეკლო ეს სიძნელეები. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).** მე თვითონაც ვიცი, რომ სჯობს არ განვიცდიდეთ სიძნელეებს.

ამხანაგებო, როცა მე და სხვა ამხანაგები ამ საკითხს ვწყვეტდით, გავიხსენეთ, როგორ იქცეოდა ლენინი, როცა სიძნელეს ხვდებოდა. მახსოვს სამოქალაქო ომის დასასრული. ჩვენ დავამარცხეთ თეთრგვარდიელები და ინტერვენტები, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. და აი მალე ამის შემდეგ ლენინმა, ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტეს: შემოღოთ ეგრეთწოდებული ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ნეპი. როგორ გავშიფროთ ეს პოლიტიკა, რას ნიშნავდა იგი? ახალი ეკონომიური პოლიტიკა ერთგვარ შეღავათს აძლევდა კაპიტალისტურ ელემენტებს ქვეყნის შიგნით, მაგრამ ამასთან ემყარებოდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების ინტერესებს. ლენინი ამბობდა: ეს საჭიროა გავაკეთოთ, საჭიროა მივიღოთ ნეპი. იგი იმაზეც კი დათანხმდა, რომ კონცესიები მიგვეცა უცხოელი კაპიტალისტებისათვის, თუ ისინი მოინდომებდნენ ასეთი კონცესიების მიღებას ჩვენში.

ჩვენ ვიომეთ, დავამარცხეთ თეთრგვარდიელები, დავამარცხეთ ჩვენი შინაური მტრები და უცხოელი ინტერვენტები, გამარჯვებას ვდღესასწაულობდით. და ამ დროს ლენინი ამბობს, შესაძლოა დაგვჭირდეს კონცესიების მიცემა, კაპიტალისტური ელემენტებისათვის ერთგვარი შეღავათების დაშვებაო. ძნელი დრო იყო, ამხანაგებო. იყვნენ პარტიის ისეთი წევრები, რომლებსაც არ ესმოდათ ამ პოლიტიკის საჭიროება, უბიდან იღებდნენ პარტიულ ბილეთებს და ამბობდნენ: პარტიიდან მივდივარო.

მახსოვს, პარტიის რაიკომის მდივნად ვმუშაობდი, წითელი არმიის ერთმა ყოფილმა მებრძოლმა, რომელსაც

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

წითელი დროშის ორდენი ჰქონდა, ჩააბარა პარტიული ბილეთი, ოჯარით აიღო წისქვილი, დაატრიალა დოლაბი და დაიწყო მარცვლეულის ფქვა. რატომ? მან გადაწყვიტა ფული ეშოვნა. ფიქრობდა, თუ ნეპი შემოიღეს, მაშასადამე, კომუნისტები უკან იხევენ, გზას უხსნიან კერძო კაპიტალს, და საჭიროა შეეგუო, რომ არ დავიგვიანოო. **(გამოცოცხლება დარბაზში).** მაგრამ მას საქმე ჩაუფუშა, და თვითონვე რცხვენოდა, რომ სიმტკიცე არ ეყო, იგი იერიშზე მიდიოდა, ებრძოდა რევოლუციის მტრებს ომკარა ბრძოლაში, მაშინ კი, როცა აშკარა მტერი დავამარცხეთ და საჭირო იყო გამოეჩინა დიდი მამაცობა და შეგნება, გაჰყოლოდა ლენინს ნეპის წლებში ისევე, როგორც იერიში მიჰქონდა ფრონტებზე ლენინის დროშით, ამ ყოფილ წითელარმიელს გამბედაობა არ ეყო.

მაგრამ პარტიამ უკუაგდო ასეთები და თავისი გზით წავიდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ნეპის საშუალებით აამაღლა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, გაუმჯობესა მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში. მომდევნო წლებში, როგორც იცით, სოციალიზმმა სრული გამარჯვება მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში და ახლა ჩვენი ხალხი წარმატებით აშენებს კომუნიზმს. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

მაგრამ ახლაც გვაქვს სიძნელეები, არ გვყოფნის ხორცი, არ გვყოფნის კარაქი. უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ კარაქს ჩვენს ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე ვაწარმოებთ მეტს, ვიდრე აწარმოებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე მდიდარ ქვეყანაში. მაგრამ ამერიკაში კარაქი რამდენიც გნებავთ იმდენია მაღაზიებში, ჩვენ კი არ გვყოფნის. რატომ არის ასე? კაპიტალისტურ ქვეყნებში მაღაზიები სავსეა კარგი საქონლით, მაგრამ იქ ამ საქონლის ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვისაც ფული აქვს, ასეთები კი განსაზღვრული რაოდენობით არიან. ამერიკის შეერთებულ შტატებში ოთხი-ხუთი მილიონი მთლიანად უმუშევარია, ხოლო რამდენია იქ ისეთი, ვინც არასრულ დღეს მუშაობს. მილიონობით ადამიანი იქ მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს თავისი ქვეყნის სიმდიდრით. ამერიკაში კაპიტალისტური სიმდიდრის ფონზე შმრომელთა უდიდეს მასებს უმუშევრობა, სიღატაკე და შიმშილი ტანჯავს.

ჩვენში სხვა საქმეა. ჩვენ ხელი მოვკიდეთ იმას, რომ, როგორც იტყვიან, მოვაწესრიგოთ ხელფასი, რათა გავუუდიდოთ იგი ბევრი კატეგორიის მუშებსა და მოსამსახურეებს. მართალია, ჩვენ თვითონ ვიცით, რომ მშრომელთა ზოგი ნაწილი ცოტას იღებდა, საჭირო იყო ხელფასის მომატება. და ჩვენც კარგი განზრახვით დავიწყეთ ეს მომატება. სასოფლო-სამეურნეო წარმოება კი ჩამორჩა მოსახლეობის მოთხოვნილების ზრდას, ვერ-ასრულებდა დასახულ გეგმებს, და გამოვიდა, რომ მოსახლეობას ხელზე აღმოაჩნდა მეტი ფული, ვიდრე იმის შესაძლებლობა, რომ დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება ხორცსა და კარაქზე. ამიტომ მაღაზიებში რიგები შეიქმნა.

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ გამოვასწოროთ ეს მდგომარეობა? ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ უწინარეს ყოვლისა უნდა გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების შესასყიდი ფასები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. რატომ? ახლა ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ხორცის წარმოება — ძროხის, ღორის, ცხვრისა და ფრინველის გამოზრდა — მეტი ჯდება, ვიდრე ჩვენ ვუხდით ამისათვის. არ შეიძლება მომავლისთვისაც დავტოვოთ ასეთი მდგომარეობა. თუ მე გამოვალ ხოლმე და ვიტყვი: აბა, ამხანაგებო, ბეჯითად იმუშავეთ, გაადიდეთ ხორცის წარმოება, ის კი ისმენს და ფიქრობს: რისთვის მოგვიწოდებ, მე ხომ ვიცი რაც უფრო მეტ ძროხასა და ღორს გაასუქებს კოლმეურნეობა, რაც უფრო მეტს მიჰყიდის სახელმწიფოს, მით უფრო მეტ ზარალს ნახავს. შეიძლება ასეთი მდგომარეობის დროს მოველოდეთ წარმოების გადიდებას? არ შეიძლება!

გულახდილად გეტყვით, რომ ჩვენთვის აღვილი როდი იყო მიგვეღო ეს გადაწყვეტილება: რა ვქნათ, რა გამოსავალი ვნახოთ? და ჩვენ გადავწყვიტეთ გვეთქვა სიმართლე ხალხისათვის, პარტიისათვის. და დარწმუნებული ვართ, რომ პარტია და ხალხი სწორად გაიგებენ ამ გადაწყვეტილებას დღეს, თუმცა იგი პოპულარული არ არის, მაგრამ ეს აუცილებელი გადაწყვეტილებაა იმისათვის, რომ ხვალ უკეთესი პირობები შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ვის შეგვიძლია მივმართოთ ჩვენ — ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ — რჩევისათვის? ჩვენს ხალხს, ჩვენს პარტიას, ვუთხრათ მათ სიმართლე და ვუჩვენოთ წარმოშობილ სიძნელეთა დაძლევის სწორი გზა. ჩვენ ეს ვთქვით, ჩვენ ეს გულახდილად დავწერეთ ჩვენს მიმართვაში ხალხისადმი.

არ ვიცი, შეძლეს თუ არა კუბელმა ამხანაგებმა წაეკითხათ ეს მიმართვა, წაეკითხეს თუ არა მათ იგი საბჭოთა მეგობრებმა, მაგრამ აქ დამსწრე ჩვენმა ახალგაზრდობამ, რა თქმა უნდა, ყველამ წაიკითხა. ჩვენ მიმართვაში ვთქვით, თუ როგორი ვითარება შეიქმნა, და ჩამოვაყალიბეთ ღონისძიებანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

რა თქმა უნდა, ჩვენს მტრებს, სოციალისტური წყობილების მტრებს სხვა გადაწყვეტილება უნდოდათ, და სხვა გადაწყვეტილება შეიძლებოდა კიდევაც. როგორია ეს გადაწყვეტილება? გამოგვეყო დამატებითი დიდი ასიგნობანი მეცხოველეობის განვითარებისათვის მრეწველობის ხარჯზე, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის კაპიტალდაბანდებათა შემცირების ხარჯზე. ეს სურდათ ჩვენს მტრებს. მაგრამ, ამხანაგებო, ასეთი გადაწყვეტილება შეაფერხებდა ჩვენი მრეწველობის განვითარებას, ძირს გამოუთხრიდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. ასეთი გადაწყვეტილებით ჩვენ შეგქმნიდით პირობებს, რომლებსაც მტრები ელოდნ. ამას ჩვენ ვერ ვიზამთ — არც ერთი კომუნისტი, არც ერთი შეგნებული მუშა, არც ერთი შეგნებული გლეხი, არც ერთი შეგნებული მოსამსახურე, ინტელიგენტი არასოდეს არ დაეთანხმება იმას, რომ თანამედროვე პირობებში ჩვენ შევამციროთ სახსრები ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენში თვითეულმა კაცმა, თვითეულმა ოჯახმა იცის, რას ნიშნავს ომი. თუ მეორე მსოფლიო ომი შეეხო თითქმის ყველა ოჯახს, — ყველა ოჯახს ჰყავდა მოკლული ან დაჭრილი, — ეს წარსული ომია, ამხანაგებო. ახლა კი თუ ჩვენ სუსტი ვიქნებით, იმპერიალისტებს შეუძლიათ ატეხონ ახალი, თერმოატომური ომი, რომელიც მილიონობით მსხვერპლს მოუტანს მსოფლიოს. თუ წინათ ყველაზე საშიშ იარაღად ტანკი ითვლებოდა, ახლა ეს ტანკი ატომური და რაკეტული იარაღის ფონზე უკვე აღარ არის ასე საშიში იარაღი. ატომური ბომბის აფეთქებისას ტანკში მჯდომი ადამიანი გასროლასაც ვერ შეძლებს, იგი მაშინვე დაღუპება.

ამიტომ, ამხანაგებო, ჩვენ—ცენტრალურმა კომიტეტმა, მთავრობამ, — რომლებიც პარტიის ნებით, ხალხის ნებით ვდგავართ ხელმძღვანელობის სათავეში, — ვიცით, თუ რა დროში ვცხოვრობთ, ვიცით, როგორ მოელიან ჩვენი მტრები, კომუნიზმის მტრები, შესაძლებლობას პირისაგან მიწისა აღგავონ სოციალიზმის ქვეყნები. და ჩვენ ვეუბნებით მათ: არა, ბატონო იმპერიალისტებო, ამას თქვენ ვერასოდეს ვერ შეძლებთ! რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ უფრო ძლიერი გავხდით, გაიზარდა საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის ყველა ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, ეს არის ჩვენი ძალა. და რომ არ დავუშვათ ომი, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, ყირამალად მოვეკიდოთ სახსრებს, სწორად გავანაწილოთ ისინი და ყოველთვის ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო, გაივლის ერთი-ორი წელი, და თქვენ დაინახავთ, რომ გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ მივიღეთ სოფლის მეურნეობისადმი დახმარების შესახებ, კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე. სოფლის მეურნეობა სწრაფად განვითარდება. გარდა ამ გადაწყვეტილებისა ჩვენ მივიღეთ სხვა ღონისძიებანიც სოფლის მეურნეობისადმი დახმარების გასაძლიერებლად: მივცეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეტი ტრაქტორი, ავაშენოთ მინერალური სასუქების მეტი ქარხანა, მივცეთ სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვა მატერიალური საშუალებანი. ხორცი ელდება კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მატერიალური წახალისების ღონისძიებანი, გადიდდება სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაინტერესება შრომით. ახლა ჩვენ გვაქვს მანქანები, გვაქვს მატერიალური საშუალებანი, გვყავს გამოცდილი, მომზადებული, განათლებული კადრები. ჩვენ მნიშვნელოვნად გავადიდებთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, მივაღწევთ მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას ამ პროდუქტებზე. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

იმისათვის, რომ უფრო წარმატებით გადავჭრათ ეს ამოცანა, უნდა გარდავქმნათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვა. აი ამ გარდაქმნას ვახორციელებთ სწორედ ახლა.

ამ დარბაზში შეიკრიბნენ არა მარტო ჩვენი ახალგაზრდა კუბელი მეგობრები, არამედ მათი სტუმართმოყვარე მასპინძლებიც — ახალგაზრდა მოსკოველები. დარბაზში ხომ ექვსი ათასი ადგილია, თქვენ კი, კუბელები — ათასი ხართ. მაშასადამე, ხუთი ათასი ამხანაგი, რომლებიც აქ არიან, — მოსკოველია.

გისურვებთ თქვენ, ამხანაგო კუბელებო, ბედნიერ მგზავრობას და წარმატებებს მუშაობაში, გისურვებთ გამძლეობასა და მამაცობას. თქვენი მამაცობა კი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ გიგებთ მომდინარე მოვლენებს, დამოკიდებული იქნება ხალხისადმი, რევოლუციის საქმისადმი თქვენს ერთგულებაზე.

მე წავიკითხე, თუ როგორ წარმოთქვა სიტყვა ფიდელ კასტრომ, როცა მას ბატისტას მოსამართლეები ასამართლებდნენ. ეს გამოსვლა პოემასავით იკითხება. ადამიანი მტრების ხელში იყო, იმედი არ ჰქონდა, რომ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ, მაგრამ იგი აქ იყო არა ბრალდებული, არამედ მოსამართლე, იგი ასამართლებდა ბატისტას, ასამართლებდა მის წყობილებას, უსაზღვროდ სჯეროდა კუბელი ხალხისა, სჯეროდა მისი გამარჯვება. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

შეიძლება თქვან, საიდან ჰქონდა ასეთი რწმენა! თავისი სიმართლის ამ ურყევ რწმენას საფუძვლად ედო ერთგულება თავისი ხალხისადმი, მისი გამარჯვების რწმენა. იგი, ეს რწმენა, მისი ხალხის წინაშე მდგომი ამოცანების სწორი გაგება აძლევდა ძალას ამ ადამიანს ებრძოლა მტრების წინააღმდეგ იმ დროშიც კი, როცა იმპერიალისტთა დამჭაშებს სურდათ სიკვდილი მიესაჯათ მისთვის.

შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი უშიშარობის, ხალხის საქმისათვის ბრძოლაში სიკვდილის არაფრად ჩაგდების ბევრი სხვა მაგალითი. თქვენ იცით, რომ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უფროსი ძმა — ალექსანდრე, რომელიც მეფე ალექსანდრე მესამეზე თავდასხმის მომზადებაში მონაწილეობდა, ხელთ იგდეს მეფის სატრაპებმა და ჩამოახრჩეს. ეს დიდი მწუხარება იყო ულიანოვების ოჯახისათვის.

ვლადიმერ ილიას-ძე მაშინ ჭაბუკი იყო. ძმის სიკვდილით დასჯა რომ შეიტყო, მან ხელი როდი აიღო ცარიზმის წინააღმდეგ, კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაზე. მან თქვა, რომ ხალხის საქმისათვის ბრძოლა მარტო არ შეიძლება, საჭიროა სხვა გზას დავადგეთო. ხალხის საქმისათვის ბრძოლაში მარტო კი არ უნდა ვიმოქმედოთო, არამედ მასებს დავეყრდნოთ, ხალხი დავრაზმოთ საბრძოლველადო. ბრძოლისათვის უნდა დავრაზმოთ ხალხის ყველაზე რევოლუციური ნაწილი — მუშათა კლასი, შევქმნათ მასობრივი, რევოლუციური პარტია, რომელიც მუშათა კლასის, ხალხის ავანგარდი იქნება, რათა მან დარაზმოს და გაუძღვეს მუშათა კლასს, მთელ ხალხს საბრძოლველად, უჩვენოს მას სწორი გზა. ცარიზმის, კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო როდი უნდა ვაწარმოოთ, ამბობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. როგორიც უნდა იყოს გმირი, მარტო იგი გამარჯვებას ვერ მიაღწევს. და თუ შევქმნით მასობრივ პარტიას — ავანგარდს, ხალხის მოწინავე ნაწილს, რათა ამ პარტიამ დარაზმოს ხალხი, სათავეში ჩაუდგეს მის ბრძოლას, — მუშათა კლასი, ხალხები აუცილებლად გაიმარჯვებენო. და ჩვენ გავიმარჯვეთ, ამხანაგებო!

აი იგი, ლენინის დიდი მამაცობა, რევოლუციური მარქსისტული მოძღვრების გაგება, რომელიც მუშათა კლასს, ხალხს უჩვენებს გამარჯვების მოპოვების, ექსპლოატატორული კლასების ბატონობის დამხობის, წარმოების საშუალებათა ექსპროპრიაციის, ხალხის ძალაუფლების დამყარების ერთადერთ სწორ გზას.

ნება მიბოძეთ მოვიყვანო კომუნიზმის დიადი საქმის სიმართლის რწმენისა და მამაცობის კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითი. ეს მაგალითი გვიჩვენა გიორგი დიმიტროვმა. ამას წინათ გადავიკითხე წიგნი ლაიპციგის პროცესის შესახებ, რათა მეხსიერებაში აღმედგინა ბულგარელი ხალხის დიდი შვილის გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვის გმირული ბრძოლის ამბები. ლაიპციგის პროცესზე იგი ისე იყო, როგორც ვეფხვი გალიაში. არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო, რასაც ამბობდა იქ გიორგი დიმიტროვი. იგი ლაპარაკობდა ისე, თითქოს ლაიპციგში მას კი არ ასამართლებდნენ, არამედ იგი ასამართლებდა, ასამართლებდა გერინგს, ასამართლებდა გეებელსს, ასამართლებდა ჰიტლერს, ასამართლებდა ფაშისტ მესვეურებსა და მტარვალებს, ასამართლებდა ფაშისტურ რეჟიმს. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

რა იყო ასეთი მამაცობის წყარო? რწმენა. ალბათ არც კი ფიქრობდა, რომ თავს დააღწევდა ფაშისტი მტარვალების კლანჭებს. მაგრამ მას არ აშინებდა სიკვდილი და ასამართლებდა თავის მტრებს, მუშათა კლასის მტრებს, პროგრესული კაცობრიობის მტრებს, მამაცურად ასამართლებდა.

ახლა იმ საქმემ, რომლისთვისაც იბრძოდნენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვი, და ხალხის სხვა ბელადები, რასაც შესწირა სიცოცხლე და რისთვისაც სისხლი დაღვარა ასეულ ათასობით, მილიონობით მებრძოლმა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გამარჯვებისათვის, — ამ საქმემ გაიმარჯვა, სოციალიზმის დროშა ამაყად ფრიალებს ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მავზოლეუმში განისვენებს წითელ მოედანზე მოსკოვში, და მისკენ, როგორც სწორად თქვა შალის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოდიბო კეიტამ, როგორც წყაროსაკენ მოეშურებიან ადამიანები მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან, რომ დაეწაფონ ამ წყაროს, მოიკრიბონ ძალა და მამაცობა ხალხის ბედნიერებისათვის საბრძოლველად. გიორგი დიმიტროვი განისვენებს ქალაქ სოფიის მავზოლეუმში, და მასთან განუწყვეტელ ნაკადად მიდიან ადამიანები. ხოლო მათი მადლიერი შთამომავალნი საუკუნეებში გაუთქვამენ მათ სახელს როგორც ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, კომუნიზმის საქმისათვის უშიშარ მებრძოლებს. **(მჭუხარე ტაში).**

სად არიან ისინი, ვინც იბრძოდა ლენინის წინააღმდეგ, დიმიტროვის წინააღმდეგ? სად არიან ისინი, ვინც ასამართლებდა დიმიტროვს? სად არის გებელსი? მან თავი მოიწამლა. სად არის გერინგი? მანაც თავი მოიწამლა. სად არის ჰიტლერი? ტყვიით მოიკლა თავი, და კარგიც ქნა, იმიტომ რომ თავიდან აგვაცილა ეს უსიამოვნო საქმე. **(გამოცოცხლება დარბაზში. მჭუხარე ტაში).**

ჰიტლერს უნდოდა მთელი მსოფლიო დაეპყრო. ხოლო როცა საბჭოთა ჯარები მიადგნენ ბერლინს, როგორც მისი ახლობელნი ამბობენ, განაცხადა: გამოსავალი არა მაქვს, თავი უნდა მოვიკლა, იმიტომ რომ თუ რუსებმა ხელში ჩამიგდეს, რკინის გალიაში ჩამსვამენ და ხალხისათვის საჩვენებლად დამიწყებენ ტარებას, როგორც მტაცებელ მხეცსო. როგორც ჩანს, იგი სწორად ფიქრობდა ასე, მაგრამ სამწუხაროა, რომ გვიან მივიდა ასეთ დასკვნამდე. **(გამოცოცხლება დარბაზში. მჭუხარე ტაში).**

ამხანაგებო! მუდამ უნდა იყოთ მამაცნი და შეურიგებელნი ხალხის საქმისათვის ბრძოლაში, უნდა იყოთ პარტიასთან, ხალხთან ერთად, ერთი წუთითაც არ ივიწყებდეთ მის ინტერესებს, უნდა გახსოვდეთ, რომ მტრები მუდამ იყენებდნენ და გამოიყენებენ ჩვენს სიძნელეებს, ცდილობდნენ და ეცდებიან გაართულონ ჩვენი მდგომარეობა, შეაფერხონ ჩვენი წინსვლა, ხოლო თუ შესაძლებლობა მიეცემათ — დაგვახრჩონ. ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს, ამხანაგებო!

ჩვენ უნდა ვიყოთ მამაცნი, მტკიცედ ვიდგეთ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პოზიციებზე, რომელიც მუდამ იყო და იქნება ჩვენი ძალის, რევოლუციონერთა— ხალხის საქმისათვის უშიშარ მებრძოლთა მორალური ძალის მთავარი წყარო. მე მოგიწოდებთ ამისათვის. **(მჭუხარე ტაში).**

რევოლუციური დროშის ქვეშ რომ დადექით, ბოლომდე უნდა იაროთ წინ, გადალახოთ ყველა დაბრკოლება, სანამ სრულ გამარჯვებას არ მოიპოვებთ. ამას გისურვებთ თქვენ, კუბელებო. **(ხანგრძლივი ტაში).**

გთხოვთ ჯანმრთელობა უსურვოთ ჩემი სახელით ჩვენს მეგობარსა და თქვენს ბელადს ფიდელ კასტროს. **(მჭუხარე ხანგრძლივი ტაში, მისალმების შეძახილები).** ჯანმრთელობას რომ ვუსურვებთ, ეს თითქოს არც სჭირდება: იგი სავსებით ჯანმრთელია. **(გამოცოცხლება, ტაში).** მაგრამ ჯანმრთელ კაცსაც ჯანმრთელობა როდი აწყენს.

გთხოვთ გადასცეთ საუკეთესო სურვილები მთელ რევოლუციურ კოლექტივს, რომელიც მჭიდროდ დაირაზმა ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით, გაიარა ბრძოლის სახელოვანი გზა, მოიპოვა გამარჯვება და ახლა წარმატებით იბრძვის კუბის ეკონომიკის გარდაქმნისათვის სოციალისტურ საწყისებზე. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გთხოვთ გადასცეთ საუკეთესო სურვილები მთელ კუბელ ხალხს— მუშებს, გლეხებს, კუბის სახალხო ინტელიგენციას, რათა ყველაფერი, რაც კი ჯანსაღია კუბაში, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმოს რევოლუციის დროშით, ფიდელ კასტროსა და კუბელ რევოლუციონერთა პარტიის გარშემო. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

მე მინდა მივმართო კომკავშირს, ჩვენს ახალგაზრდობას, რომლის წარმომადგენელნიც აქ არიან, მადლობა ვუთხრა იმისათვის, რომ კომკავშირი, ახალგაზრდობა მუდამ იყვნენ ჩვენი პარტიის ერთგული და დამბრძოლი თანამშმწენი. ყოველთვის, როცა მძიმე წუთებში პარტიას დახმარება და მხარდაჭერა ესაჭიროებოდა, კომკავშირი, ახალგაზრდობა გამოეხმაურებოდნენ და გვერდში ამოუდგებოდნენ ხოლმე პარტიას. როგორ არ უნდა იყო აღტაცებული ჩვენი ახალგაზრდობით! **(მჭუხარე ხანგრძლივი ტაში, შეძახილები სკკპ პატივსაცემად).**

ამხანაგებო! მახსოვს, როცა ამხანაგ ფიდელ კასტროს ვესაუბრებოდი ნიუ-იორკში, ვუთხარი: იცით, მოთმინება არ მყოფნის, როდის წავალ აქედან; აქ ისეთი დახუთული, ტენიანი ჰაერია, რომ სუნთქვა მიჭირს; მალე წავიდე მოსკოვში, დავბრუნდე სამშობლოში-მეთქი. მან მითხრა: აქ მეც ცუდად ვგრძნობ თავს? მცივა აქ, კუბის სითბო მომენატრა და მოთმინება არ მყოფნის, როდის წავალ აქედანო. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).**

ყველას უძნელდება შეჩვეულ კლიმატურ პირობებს დაშორებით ცხოვრება. თქვენთვის ეს კარგად უნდა იყოს გასაგები მას შემდეგ, რაც აქ ყინვით გაგიმასპინძლდით და მზითაც გაგათეთ. ჩვენს ახალგაზრდობასაც ალბათ უძნელდება შეეჩვიოს კუბის კლიმატურ პირობებს. თქვენში, ამბობენ, ევროპელებისათვის საუკეთესო დროა ნოემბერი, დეკემბერი და იანვარი, ზაფხულობით კი თქვენში ყოფნა ძნელია, რადგან ტროპიკული სიცხეა.

საბჭოთა ახალგაზრდობას თავის სამშობლოშიც უხდება მძიმე კლიმატური პირობების ატანა. პარტიის მოწოდებით ასეულ ათასობით საბჭოთა ქალიშვილი და ჭაბუკი შეუდგა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების ათვისებას, გაემგზავრა ყამირზე, ქარხნების, რკინიგზების, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე ციმბირში. თქვენ იცით, რა არის, მაგალითად, ბრატსკი?! არა, თქვენ ჯერ არ იცით, რა არის ბრატსკი. **(გამოცოცხლება დარბაზში).** თქვენ რომ იქ წაგიყვანონ იანვარში, როცა იქ 50 გრადუსი ყინვაა, მაშინ გაიგებთ, რა არის ბრატსკი! **(გამოცოცხლება დარბაზში).** ჩვენი ახალგაზრდობა კი მუშაობს იქ და მღერის.

საბჭოთა ქალიშვილები და ჭაბუკები ციმბირში მიდიან არა სიდედრთან ბლინის საჭმელად, არამედ მიდიან ტაიგაში, ისეთ ადგილებში, საიდანაც, ასე ვთქვათ, დათვები ეს-ეს არის გარეკეს **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).** იქ ბევრი რამ აკლია ადამიანს, ხალხი ზოგჯერ პირველ ხანებში კარვებში ცხოვრობს, ხოლო თბილია თუ არა საპირფარეშო, ეს საკითხი საერთოდ არა დგას. **(გამოცოცხლება დარბაზში).** ირგვლივ ციმბირის თვალუწვდენი ტაიგაა.

რამდენიმე წლის წინათ წარმოიშვა ყამირის ათვისების საკითხი. ეს იყო ნახევრადდაბანო, იქ თითქმის არავინ ცხოვრობდა. ჩვენ ვმსჯელობდით, რა გვექნა, და გადავწყვიტეთ: მოდით მივმართოთ ახალგაზრდობას. ახალგაზრდობა ენთუზიაზმით გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას და დაიძრა ყამირისაკენ. იგი მივიდა იქ კარვებით, კარვებში ცხოვრება კი, თქვენ იცით, არცთუ მაინცდამაინც მოხერხებულია. მაგრამ როცა ჩვენი ხალხი ეომებოდა გერმანელ ფაშისტებს, მაშინაც გვიხდებოდა ცხოვრება კარვებში, ან უკარვებოდაც, მიწურებსა და სანგრებში. ახალგაზრდობა წავიდა ყამირზე, მან იქ წაიყვანა არა ტანკები, არამედ ტრაქტორები და კომბაინები. და რაც მეფეებმა ვერ შეძლეს საუკუნეების განმავლობაში — აეთვისებინათ და დაესახლებინათ ყამირი მიწები, — საბჭოთა ადამიანებმა განახორციელეს 3-4 წელიწადში. ვინ ქნა ეს? ჩვენმა სახელოვანმა ახალგაზრდობამ! ჩვენმა სახელოვანმა კომკავშირმა! ჩვენმა ხალხმა! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამიტომ, ამხანაგებო, როცა მიგიღეთ მეტად პასუხსაგები გადაწყვეტილება, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, ჩვენ, გვკერეოდა პარტიისა, გვკერეოდა კომკავშირისა, გვკერეოდა ჩვენი ხალხისა. გვწამდა, რომ იგი სწორად გაიგებს ამ ღონისძიების საჭიროებას. ჩვენ გადავწყვიტეთ გაგვეხორციელებინა ეს ღონისძიება დღეს, რათა შეგვექმნა უკეთესი პირობები ხვალისათვის. ამიტომ ჩვენმა ხალხმა უნდა დაძლიოს დღევანდელი სიძნელეები, შეიგნოს მდგომარეობა და არა მარტო თვითონ შეიგნოს, არამედ განუმარტოს იმათ, ვისაც უფრო ცუდად ესმის. ასეთი ადამიანები კი არიან, ამხანაგებო.

მე მივმართავ პარტიას, პარტიის წევრებს, კომკავშირს, მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას. კოლმეურნეებისათვის მიმართვა უფრო ადვილია, რადგან მათ მომატება მიიღეს. მე მივმართავ და პარტიისა და მთავრობის სახელით მადლობას ვუძღვნი ამ გადაწყვეტილების, როგორც საჭირო და დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების სწორად გაგებისათვის, რათა მათ არა მარტო თვითონ ესმოდეთ სწორად ეს ღონისძიება, არამედ სხვებსაც განუმარტონ ამ ღონისძიების საჭიროება და დიდი მნიშვნელობა, აწარმოონ ბრძოლა ამტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც ხელს ეშლიან ჩვენს წინსვლას. ასეთი ელემენტები [illegible] ჩვენს წინსვლას. ასეთ ელემენტებს [illegible] ყველა არიან წამგლეჯნი, უქნარები, [illegible] ეშინიათ. საბჭოთა ადამიანების [illegible] შეკავშირება — ეს ის დიადი ძალაა, რომელიც დაგვეხმარება დავძლიოთ ყოველი სიძნელე.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი სამშობლოთი, რომელიც პირველად დაადგა სოციალიზმის გზას. საბჭოთა ადამიანები არაკის მისცემენ ნებას ძირი გამოუთხაროს მის მაღალ ავტორიტეტს.

მე მიამბეს ასეთი შემთხვევა, რომელიც მოხდა რვა წლის წინათ მოსკოვის ერთ-ერთ ინსტიტუტში. ამ ინსტიტუტში სასწავლად ჩამოვიდა ბევრი ქალიშვილი და ჭაბუკი მომძმე სოციალისტური ქვეყნებიდან. მათ შორის იყო კარგი რუმინელი ქალიშვილი, აღზრდილი, როგორც ჩანს, რევოლუციურ რომანტიკაზე. როცა საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა, იგი ყველა საბჭოთა ადამიანზე აღფრთოვანებით ლაპარაკობდა. და აი ჩაჯდა ტრამვაიში, და მას ჯიბიდან საფულე ამოაცალეს. **(გამოცოცხლება დარბაზში).** მივიდა იგი ინსტიტუტში, ლანძღავს ყველა საბჭოთა ადამიანს. როგორ შეიძლება ეს — სოციალისტური ქვეყანაა, მე კი ტრამვაიში ჯიბიდან საფულე ამომაცალესო...

სამწუხაროდ, ამხანაგებო, ცხოვრებაში ისე ხდება, რომ ჯანსაღის, მოწინავეს გვერდით არის ხოლმე ცუდი, დროგადასული. ჩვენში შესანიშნავი ხალხია, მან მოახდინა რევოლუცია, ააშენა სოციალიზმი. მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებიც კონტრრევოლუციის მხარეზეც იყვნენ, და მათ წინააღმდეგ ჩვენ ოთხ წელიწადს ვებრძოდით სამოქალაქო ომის დროს. მაშასადამე, ყველა როდი უჭერდა მხარს რევოლუციას, იყვნენ რევოლუციის მოწინააღმდეგენიც, იყვნენ კაპიტალისტები, მემამულეები, ვაჭრები და კულაკები, იყვნენ აგრეთვე ხულიგნები, ქურდები და სხვა დამნაშავენი.

ახლა კი? ჩვენი ახალგაზრდობა ჯანსაღია, მტკიცეა, მაგრამ ახალგაზრდობაშიც არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც იქცევიან როგორც წამგლეჯნი: რაც უფრო მეტი იქნება, მით უკეთესია, დღეს წაგლეჯე, ხვალ კი სულ ერთია რაც იქნება, მას არაფერი არ აინტერესებს.

ამიტომ ჩვენ, — კომუნისტები, კომკავშირელები და უპარტიოები, — უნდა ვიჩენდეთ არა მარტო პირად სიმამაცეს, არამედ აგრეთვე ღრმად უნდა გვქონდეს შეგნებული მთელი ხალხის, მთელი საზოგადოების ინტერესები, იმ საქმის ინტერესები, რომელსაც ვემსახურებით. ჩვენ ზეგავლენა უნდა მოვახდინოთ იმათზე, ვისაც არ ესმის იმ ღონისძიებათა საჭიროება, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ ხალხის ინტერესებისათვის. საჭიროა ყველამ სწორად შეიგნოს, რომ თუ დღეს არ განვახორციელებთ ისეთ ღონისძიებას, როგორიც არის ხორცის შესასყიდი ფასების გადიდება, ხვალ იქნება ისეთი მდგომარეობა, როცა ვიგრძნობთ ამ პროდუქტების ნაკლებობას, გაჩნდება ხორცის რიგები. ეს რომ დაგვეძლია, ჩვენ უნდა მიგვეღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ქმნის პირობებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების უახლოეს ხანში გადიდებისათვის.

შესაძლოა თქვან: ხომ არ შეიძლება ამავე დროს ხელფასის მომატებაცო. მერე რა გამოვიდოდა აქედან? ჩვენ გავადიდებდით ფასებს და მოვუმატებდით ხელფასს, — გადიდდებოდა ფულის რაოდენობა, მაგრამ არ შემცირდებოდა ხორცის ნაკლებობა, რადგან ხორცი საჭირო რაოდენობით არ არის. რაც უფრო მეტი იქნება ფული, მით უფრო მეტი იქნება რიგები ხორცის მაღაზიებთან, სანამ არ გაიზრდება ხორცის წარმოება. ეს უნდა გვისმოდეს და განვუმარტავდეთ ყველას, საჭიროა ჭკუა ვასწავლოთ იმათ, ვისაც ეს არ ესმის ან არა სურს შეიგნოს. ვიმეორებ, საჭიროა განვუმარტოთ და გავანათლოთ, ხოლო როცა საჭიროა, ჭკუაზე მოვიყვანოთ, ვისაც ეს ესაჭიროება

საბჭოთა მთავრობის განცხადება

დიდ სიმაღლეზე ამერიკის ატომურ აფეთქებათა შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გამოაცხადა, რომ ატომური იარაღის გამოცდების იმ სერიის მსვლელობაში, რასაც ადგილი ადგა ეხორციელებოდა წყნარ ოკეანეში, დაგეგმილია განხორციელდეს ატომური აფეთქებანი რამდენიმე ასეულ კილომეტრ სიმაღლეზე, მათ შორის მეგატონური სიმძლავრის აფეთქებანი.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაახლეს ატომური იარაღის გამოცდა, საბჭოთა მთავრობამ უკვე განაცხადა, რომ ასეთი მოქმედების დაწყებით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სჩადის აგრესიული ხასიათის აქტს, იწყებს გამალებული ატომური შეიარაღების ახალ ტურს და სერიოზულ ზიანს აყენებს ხალხთა იმ იმედს, რომ განმტკიცდება მშვიდობა და მოხდება განიარაღება. ამჟამად საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ყველა საბელმწიფოსა და ხალხის ყურადღება მიაქციოს იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ განახორციელონ ახალი უაღრესად საშიში მოქმედება, რაც, გამალებული ატომური შეიარაღების კოსმოსში გადატანით, კიდევ უფრო მეტად შელახავს მთელი კაცობრობის ინტერესებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ატომური იარაღის დიდ სიმაღლეზე გამოცდის განხორციელებას შეიძლება მოჰყვეს უაღრესად დამღუპველი შედეგები — დაირღვევა დედამიწის ატმოსფეროს ზედა გამტარი ფენები დიდ სივრცეებზე, წარმოიშობა რადიოაქტიდების შთანთქმის სფეროები და მიწისახლო სივრცეში წარმოიშობა ახალი რადიაციული სარტყელი. რის მომასწავებელი იქნება ეს?

იონოსფეროს დარღვევას და მშთანთქმელი სფეროების წარმოშობას შეიძლება მოჰყვეს რადიოკავშირის დროებით შეწყვეტა დიდ სივრცეებზე, ამასთან არ შეიძლება ამჟამად დაბეჯითებით ითქვას, რამდენად ხანგრძლივი იქნება იგი.

რადიოკავშირის ხანგრძლივმა შეწყვეტამ შეიძლება დაარღვიოს დედამიწის მთელი რიგი რაიონების ნორმალური ცხოვრება, კერძოდ, სეროიზული სიძნელეები შეუქმნას ხაზოვან და საჰაერო ტრანსპორტს წყნარ ოკეანის რაიონში. კიდევ უფრო მძიმე შეიძლება აღმოჩნდეს დიდ სიმაღლეზე ამერიკის ატომურ აფეთქებათა შედეგები ჩვენი ეპოქის გმირი კოსმონავტებისათვის. სამყაროს სივრცეებში ადამიანის შეღწევის პიონერებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ აფეთქების დროს კოსმოსური ხომალდი იქნება რამდენიმე ასეულ კილომეტრ მანძილზე აფეთქების ცენტრიდან, კოსმონავტი მიიღებს რადიაციის დოზას, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება სასიკეთილო დოზას, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ იგი შეიძლება დაბრმავდეს შუქის გამოსხივებით. ხოლო თუ კოსმონავტი იქნება ახალ რადიაციულ სფეროში, რომელიც ამერიკის მეგატონური სიმძლავრის ატომურ აფეთქებათა შედეგად წარმოიშობა, იგი მიიღებს რადიაციის უაღრესად დიდ დოზას.

საჭირო იქნება გულდასმით შემოწმდეს მიწისახლო სივრცის მდგომარეობა რადიაციული უსაშიშრობის თვალსაზრისით, სანამ შესაძლებელი გახდება გაანალიზეს კოსმონავტების ფრენა და შემდგომი ნახიჯები კოსმოსში ადამიანის შეღწევისათვის.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდ სიმაღლეზე დიდი სიმძლავრის ატომურ აფეთქებებს შეიძლება მოჰყვეს მთელი რიგი მძიმე შედეგები. დედამიწაზე სიცოცხლის პირობები განისაზღვრება მთელი რიგი პროცესებით, რომლებიც ატმოსფეროს ზედა ფენებში ხდება, და ამ ფენებში ენერგიული ფიზიკის ინსტიტუტის ფიზიკის პროფესორი დ-რი შეპლი, მასაჩუზეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ფიზიკის პროფესორი დ-რი ლივინგსტონი, ბოსტონის უნივერსიტეტის გეოლოგიის პროფესორი, ამერიკის მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი დ-რი მატერი. მსოფლიოში ცნობილი ეს ამერიკელი მეცნიერები, დიდად შეშფოთებულნი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გეგმებით, თავიანთ მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ სივრცე, რომელიც უშუალოდ აკრავს დედამიწას, შეუფერებელი სფეროა პოტენციურად დამბგრეველი ექსპერიმენტებისათვის და რომ არც ერთ ადამიანს, არც ერთ ქვეყანას არა აქვს უფლება დაარღვიოს ბუნებაში დამყარებული წონასწორობა.

მსოფლიო სახელის მქონე ინგლისელმა მეცნიერმა, ჯორდელ ბენკის ობსერვატორიის დირექტორმა ბერნარდ ლოველმა გააკეთა რამდენიმე განცხადება იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკელებმა განახორციელონ ატომური იარაღის გამოცდა დიდ სიმაღლეზე. იგი მოითხოვდა ხელი შეუშალონ ამ პროექტების განხორციელებას, რომლებიც დაიბასიათა როგორც ცივილიზებული სამყაროს შეურაცხყოფა.

საერთაშორისო ასტრონომიულმა კავშირმა, რომელიც ერთიანებს მთელი მსოფლიოს მეცნიერ ასტრონომებსა და ასტროფიზიკოსებს, ამას წინათ მიიღო განსაკუთრებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ არავის არა აქვს უფლება რამდენადმე მნიშვნელოვნად შეცვალოს დედამიწის გარშემო ატმოსფერო, თუ ამაზე არ არის საერთაშორისო თანხმობა და თუ არ არის ამ საკითხის ყოველმხრივი საერთაშორისო შესწავლა. და რომ მომავალში ასტრონომიული კვლევის პროგრესის ყოველგვარ დარღვევას შეიძლება მოჰყვეს სერიოზული მოოლელური და მატერიალური შედეგები. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ არათუ ხელი არ აიღო თავის განზრახვაზე მოაწყოს ატომური იარაღის გამოცდა დიდ სიმაღლეზე. არამედ ამ დღეებში ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ეს გამოცდები, რომლებსაც განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ატომური იარაღის სრულყოფის ამერიკულ გეგმებში, უახლოეს დროში განხორციელდება.

ამრიგად, ხალხები იღებენ იმის ახალ დადასტურებას, რომ ატომური ომისათვის მზადების თავის პოლიტიკაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არ ერიდება და არც აპირებს მოერიდოს არც ომს, რომ უხეშად გათელოს ყველაზე ელემენტარული ნორმები საერთაშორისო სამართლისა, რომელიც სახელმწიფოებს ავალებს იმოქმედონ საერთაშორისო საქმეებში ყველა სხვა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების აუცილებელი გათვალისწინებით, არც იმას, რომ აშკარად გაილაშქროს ხალხთა უშიშროებისა და კეთილდღეობის წინააღმდეგ.

განა ცინიკური არ არის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შესახებ. მისი ორგანოების გულახდილი განცხადებანი, რომ დიდ სიმაღლეზე ატომური იარაღის მომავალი გამოცდის ერთ-ერთი მიზანი იქნება იმის შემოწმება, თუ როგორ შეიძლება ასეთ აფეთქებათა დახმარებით მწყობრიდან გამოიყვანონ კავშირგაბმულობის სისტემები და რადიოსადგურები და ა. შ. ეს ხომ იმის აღიარებაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წინასწარ ამზადებენ შესაძლებლობებს მოახდინონ მშვიდობისმოყვარე ხალხებისა და ამით უგნებელყონ საკუთარი თავი საპასუხო ატომური დარტყმისაგან. კვლავ გვახსენდება ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ამასწინანდელი განცხადება, რომ ზოგიერთ გარემოებაში შეერთებული შტატები, შესაძლოა, გამოიჩენენ „ინიციატივას ატომურ კონფლიქტში საბჭოთა კავშირთან“.

აგრეთვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამზადებს ატომური იარაღის გამოცდას დიდ სიმაღლეზე — მიწისახლო სივრცეში, სწორედ იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის წარმოიშვა მოლაპარაკება კოსმოსის მშვიდობიან გამოყენებაში თანამშრომლობის შესახებ. მაძასადამე, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სიტყვით მხარს უჭერს სსრ კავშირთან თანამშრომლობას, ერთობლივ მოქმედებას, რომლის მიზანია დაიპყრონ კოსმოსური სივრცის ათვისება მთელი კაცობრობის ინტერესებისათვის. ნამდვილად კი რა გამოდის? ნამდვილად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახლა კოსმოსზე ავრცელებს გამალებულ ატომურ შეიარაღებას, ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ეს ახალ დაბრკოლებებს ქმნის კოსმოსური სივრცის კვლევისა და ათვისების საქმეში და ზიანებას საფრთხეც კი შეუქმნას კოსმონავტების სიცოცხლესა და უშიშროებას.

სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ კოსმოსური სივრცის მშვიდობიან გამოყენებაში თანამშრომლობის საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სიტყვები არ ეთანხმება მის საქმეებს.

იბადება კითხვა: რა საფუძვლით ამბობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ისე განახორციელოს დიდ სიმაღლეზე ატომური იარაღის გამოცდა, რაც სერიოზულად შელახავს ყველა სახელმწიფოს ინტერესებს, რომ არც კი იკითხოს მათი აზრი ამის შესახებ?

რა თქმა უნდა, არავითარი ასეთი საფუძველი და უფლება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შეეძლოთ მოქცეულიყვნენ საერთაშორისო საქმეებში ძლიერის უფლებაზე დაყრდნობით. ახლა მსოფლიოში შეიქმნა ძალთა სულ სხვა თანაფარდობა. ახლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, მშვიდობისათვის სულ ... ებას, ვინ ... ...

გულითადი მადლობა

ჰავანა, 3 ივნისი. (საკდესი). ჰავანის კვირის გაზეთები „ნოტიციას დე ოი“ და „მუნდო“ თვალსაჩინო ადგილას ათავსებენ მასალებს საბჭოთა და კუბელი ახალგაზრდობის მიტინგის შესახებ კრემლის ყრილობათა სასახლეში. გაზეთების დიდ სათაურებში ნათქვამია: „ამაღელვებელი გამოთხოვება კუბელ სტუდენტებთან კრემლში“, „სსრ კავშირი დახმარებას აღუთქვამს კუბას“, „კუბელმა სტუდენტებმა მშვენიერი წერილი გაუგზავნეს ხრუშჩოვსა და სკკპ-ს“, — ნათქვამია გაზეთების სათაურებში.

კრემლის მიტინგისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში გაზეთი „ნოტიციას დე ოი“ აღნიშნავს, რომ მეგობრობის მიტინგი იყო „ამაღელვებელი, გულითადი, ნამდვილად ძმური“. სტატიაში გამოთქმულია კუბელი ხალხის გულითადი მადლობა საბჭოთა კავშირის, ფასდაუდებელი გულწრფელი დახმარებისათვის კუბისადმი და კუბელი ხალხისა და კუბის რევოლუციისადმი სსრ კავშირის ხალხთა სოლიდარობის ახალი მკაფიო გამოვლინებისათვის. გაზეთი უაღრესად გულთბილად წერს კუბელ სტუდენტებზე, რომლებიც სსრ კავშირში სწავლობენ. ჩვენი ჭაბუკები, წერს გაზეთი ახალგაზრდა კუბელებზე, ტექნიკური ცოდნითა და კიდევ უფრო მეტი რევოლუციური ენთუზიაზმით აღჭურვილი ბრუნდებიან. ისინი ბრუნდებიან კოოპერატივებსა და სახალხო მამულებში, საიდანაც გაემზავნენან სასწავლად, და კუბა ისეთ შეხვედრას გაუმართავს მათ, როგორიც დაიმსახურეს. სულით და გულით მადლობას უძღვნის ჩვენი ხალხი საბჭოთა კავშირს.

ჩილის საფეხბურთო ორგანიზაციაზე

მსოფლიო ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ჯგუფებში დამთავრდა მეორე ტურის შეხვედრები და უკვე ნათელია თუ რომელ გუნდს აქვს შანსი მოხვდეს იმ რვათა შორის, რომლებიც „ოქროს ჭალმეჩეთისათვის“ გაიგრძელებენ ბრძოლას. თუ ერთი დღით ადრე ყველაზე მოულოდნელი შედეგი ბრაზილიელთა ფრე იყო, მეორე ტურის შეხვედრებს შორის საბჭოთა კავშირისა და კოლუმბიის მატჩის შედეგია.

სენსაცია № 1

ჩვენი ფეხბურთელების ბრწყინვალე გამარჯვებამ იუგოსლაველთა წინააღმდეგ არა მარტო ფეხბურთის მოყვარულთა, არამედ სპეციალისტთა მითქმა-მოთქმა გამოიწვია და სსრ კავშირის გუნდს უკვე პირველობის მთავარ პრეტენდენტად თვლიდნენ. მაგრამ ის ვინც სამ ივნისს არიკაში თამაშს დაესწრო, სულ სხვა აზრი დარჩა. ამა წარმოიდგინეთ ანგარიში 3:0, 4:1 და ბოლოს „მოახერხო“ იგი 4:4 დაამთავრო.

რა მოხდა?

საბჭოთა ნაკრები თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: იაშინი, ჩოხელი, მასლიონკინი, ოსტროვსკი, ვორონინი, ნეტო, ჩისლენკო, ივანოვი, პონედელნიკი, კანევსკი, მესხი. ჩვენებმა მოწინააღმდეგის ამოსუნთქვაც არ აცალეს და ზედიზედ გაიტანეს ბურთები. მე-12 წუთზე ანგარიში უკვე 3:0 იყო. მე-9 წუთზე ბურთი ივანოვმა გაიტანა. ორი წუთის შემდეგ პონედელნიკოხა და ჩისლენკოს ერთ-ერთ ერთ-ერთ ბურთი ივანოვმა გაიტანა. ორი წუთის შემდეგ პონედელნიკოხა და ჩისლენკოს დარტყმით და გოლით დამთავრდა, ბოლო მე-12 წუთზე ჩისლენკომ კარგად გაიყვანა ივანოვი და ეს მომენტიც გოლით დამთავრდა.

კორესპონდენტები სასწრაფოდ გადასცემდნენ თავის საგენტოებს — „რუსები მეთოდურად უტევენ, მანქანა რიტმულად მუშაობს, კოლუმბიელები განწირული არიან“. მართალია 21 წუთზე მარჯვენა გარემარბმა ასევოსმა იაშინის კარში პირველი ბურთი გაიტანა, მაგრამ სპორტულ კომენტატორებზე ამას შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. მართლაც ძნელი დასაჯერებელია ასეთი ანგარიშის შემდეგ ფრე.

მოტყუვდა ყველა, არა მარტო კორესპონდენტები, არამედ თვით ჩვენი ფეხბურთელებიც. მას შემდეგ რაც 57-ე წუთზე პონედელნიკმა მეოთხეჯერ შეარხია ბადე და ანგარიში 4:1 გახდა, გავიდა ოცი წუთი და მოწინააღმდეგეთა კარზე გამოჩნდა — 4:4. შეიცვალა ანგარიში და განწყობილება, თამაშის მსვლელობა. და აი კვლავ ახმაურდნენ კორესპონდენტები, ახლა ისინი გადასცემდნენ — უცნაურობა მოედანზე, კოლუმბიელებმა განაცვიფრეს ფეხბურთის სამყარო, რუსებს ვეღარ ვცნობთ და სხვა.

აი რა გამოიწვია თვითდამშვიდებამ, უდარდელობამ. როცა მდგომარეობა არასახარბიელო გახდა, გამოცდილებამ საქმეს ვერ უშველა. კოლუმბიელთა შეტევის შედეგად დაცვაში ბზარი გაჩნდა, თავი იჩინა დაბნეულობამ, თავდამსხმელებს თითქმის ვეღარ ვცნობდით.

კოლუმბიელებიდან გოლები გაიტანეს, კლინგერმა (9), კალემ (8) და რადამ (10).

საგანგებო მდგომარეობა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი ცუდ თამაშებელთან როდი ტოვებს, ჩილის შემდეგ მას მეორე ჯგუფში ყველაზე კარგი შედეგი აქვს.

ფეიცარელები გადაურჩნენ დიდი ანგარიშით წაგებას, რასაც მეკარეს უნდა უმადლოდნენ. ბურთები გაიტანეს 45 და 60 წუთზე. ბრიუსლმა და ზეელერმა, 75-ე წუთზე ფეიცარელმა შნეიტერმა.

არიკა:

სსრ კავშირი — კოლუმბია 4:4

სანტ-იაგო:

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — შვეიცარია 2:1

ვინია-დელ-მარი:

ესპანეთი — მექსიკა 1:0

რანკაგუა:

უნგრეთი — ბულგარეთი 6:1

გერმანელთა მწვრთნელმა განაცხადა: — ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ ბევრი არაფერი გვაქვს სათქმელი, თავდამსხმელებმა ითამაშეს არც თუ კარგად, გეგნებოდათ ფეხები ტყვიისაგან აქვთ ჩამოსხმული.

მატჩის შემდეგ რატომღაც კარგ განწყობილებაზე იყვნენ შვეიცარიელები — მწვრთნელი და კაპიტანი. მათ ისიც კი განაცხადეს, „რომ თავიანთი თამაშით კმაყოფილები არიან.

უკანასკნელ წუთებში

ესპანეთისა და მექსიკის გუნდების შეხვედრას ვინია-დელ-მარში პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ესპანელებს მხოლოდ მოგება აწყობდათ.

ბრძოლის დასაწყისი ესპანელთა სასარგებლოდ ბევრს არაფერს მეტყველებდა. იყო შემთხვევა, რომ მათი კარი გადარჩა გოლს. პირველ ტაიმში მოწინააღმდეგეებს ანგარიში არ გაუხსნიათ. 0:0 იყო. ბოლოს 82 წუთზე — ბრძოლის ბოლოს და ოფსაიდ-ნელ წუთში ზენტო გიჯრა კარიაკენ, გვერდი აუარა ორ მოწინააღმდეგეს და იშვიათი სიზუსტით ჩააწოდა პეიროს, ძლიერი დარტყმა გოლით დამთავრდა.

უნგრელთა რეკორდი

გასაოცარი იყო უნგრელთა სურვილი, რაც შეიძლება მეტი ბურთი გაეტანათ. და აი შედეგი, მათ დაამარცხეს ბულგარეთის ნაკრები 6:1. ეს ჩილის ტურნირის რეკორდია და არც თუ ისე ხშირი შემთხვევაა მსოფლიოს პირველობებზე.

დიდ გაწამაწიაში იყო ბულგარელთა მეკარე, მან მრავალჯერ იხსნა კარი, მაგრამ 6 გოლი ფეხბურთში მაინც დიდი ანგარიშია. ვინ იყვნენ ბურთების ავტორები? 3 ბურთი გაიტანა ალბერტმა, 2 ტიხმ და ერთი შაიმოშმა, ბულგარელებიდან — სოკოლოვმა.

ჩვენი სტუმრები

მოსკოვი, 4 ივნისი. (საკდესი). დღეს გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაციის წევრებთან.

ეს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ეროვნული კრების თავმჯდომარე, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ზდენეკ ფირლინგერი, საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს მოსკოველთა სახელით გულთბილად მიესალმა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. კალაშნიკოვი.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს — მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა-მდივანმა ვ. ვ. პირიმმა, მოსკოვის მახარისხებელი სადგურის დეპოს ელმავლის მემანქანემ ს. ბ. პობედინსკიმ, მეორე საათის ქარხნის ამწყობმა ელენე პჩოლკინამ.

გულთბილად შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის დელეგაციის წევრის გელენა ლეფლეროვასა და ამხანაგ ზდენეკ ფირლინგერის სიტყვებს.

მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლებისა და ჩეხოსლოვაკიელი მეგობრების შეხვედრამ განსაკუთრებული გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

ძმური დახმარება

ჰავანა. (საკდესი). 31 მაისს კუბის საგარეო ვაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა მოხსენება სსრ კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში კუბის სავაჭრო დელეგაციის ამასწინანდელი მოგზაურობის შედეგების შესახებ. დელეგაციას მეთაურობდა საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე რაულ მალდონადო. გაზეთი „ნოტიციას დე ოი“ ბეჭდავს მოწინავე სტატიას, რომელშიც მიესალმება საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების უანგარო ძმურ დახმარებას კუბისადმი. ჩვენმა ხალხმა, ნათქვამია სტატიაში, სიხარულით გიგო, რომ საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა კვლავ გამოუგზავნეს სურსათი, მოწყობილობა და ნედლეული. ცნობა ამ მიწოდებათა შესახებ მძლავრი დარტყმაა იმ იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების სპეკულაციური მაქინაციებისა და იმედგებისადმი, რომლებიც ვარაუდობდნენ, რომ ზოგიერთი საქონლის ნაკლებობა ხელს შეუწყობს მათ გაღვივონ უკმაყოფილება, გამოიწვიონ შეშფოთება და მოამზადონ აგრესიისა და ჩარევის დანაშაულებრივი გეგმები. ჩვენ მივესალმებით და მადლობას ვუძღვნით სოციალისტურ ქვეყნებს და, კერძოდ, საბჭოთა კავშირს ამ დახმარებისათვის, რომელიც მძლავრ სტიმულს აძლევს ჩვენს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ჩვენი საკუთარი წარმოების — უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის გადიდება და განვითარება.

საპატიო ჯილდო

მოსკოვი, 4 ივნისი. (საკდესის კორ). შეჯამდა მოზარდ მაყურებელთა თეატრების სრულიად საკავშირო დათვალიერების შედეგები. დათვალიერება მოწყო პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავთან დაკავშირებით. გიმმარჯვა ექვსმა თეატრმა, რომლებსაც მიეკუთვნნენ პირველი ხარისხის დიპლომები. გამარჯვებულთა შორისაა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი.

მეორე ხარისხის დიპლომი მიეკუთვნა თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრს.

თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრები დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით.

ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლ „წეროებით“ დაინტერესდნენ პრაღის ბავშვთა თეატრი, მოსკოვის, კიევის, აზერბაიჯანის, ვლადივოსტოკის მოზარდ მაყურებელთა თეატრები. მათ გადაწყვეტეს დადგან ეს პიესა.

დახმარება ალჟირელ ხალხს

მოსკოვი. (საკდესი). როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის წითელმა ჯვარმა არაერთგზის გაუწია მატერიალური დახმარება ალჟირელ ლტოლვილებს, უწინარეს ყოვლისა, ავადმყოფებს, ქალებსა და ბავშვებს, რომლებმაც დატოვეს თავიანთი სამშობლო ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ სისხლისმღვრელი კოლონიური ომის შედეგად. ეგიპტის შეთანხმებათა ხელმოწერის შემდეგ, როცა დაიწყო ალჟირელ ლტოლვილთა რეპატრიაცია სამშობლოში, შეიქმნა ახალი სიძნელეები: ომმა დაანგრია რეპატრიანტთა მეტი წილი ბინები.

1-3 ივნისს ორი სპეციალური რეისით საბჭოთა საჰაერო ლაინერი ილ-18 ალჟირის წითელი ნახევარი მთვარის განკარგულებაში გადასცემს, მისი თხოვნით, საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრისაგან საჩუქარად, 400 ათადგილიან კარავს ალჟირელი ლტოლვილებისათვის, უწინარეს ყოვლისა ქალებისა და ბავშვებისათვის.

ევრპის გზაზე

მოსკოვი. (საკდესი). დიდი მოგზაურობა დაიწყეს ევროპის ქვეყნებში საბჭოთა ტურისტებმა საკუთარი ავტომობილებით. გარბენის მონაწილეთა შორის არიან კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეები, მრეწველობისა და ტრანსპორტის ნოვატორები.

38 დღეს იქნებიან გზაში ავტოტურისტები. მათი მარშრუტი გადის კიევში, ლვოვში, ბუდაპეშტში, ვენაში, ვენეციაში, ფლორენციაში, რომში, ტულონში, ლონში, პარიზში, ბერლინში, ვარშავაში, ბრესტში, მინსკში, სმოლენსკში.

ეს გარბენი საბჭოთა ავტომობილისტურისტების მესამე კოლექტიური გასვლაა საზღვარგარეთის ქვეყნებში. 1960 წელს ისინი ეწვივნენ პოლონეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთს, რუმინეთსა და ბულგარეთს. შარშან კი — ფინეთს, შვეიცარიას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთს.

ჩილეში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი

ჯგუფი „ა“

სსრ კავშირი	2	1	1	8:5	3
ჩილე	2	1	1	4:3	3
ურუგვაი	2	1	1	3:2	3
კოლუმბია	2	0	2	4:8	2

ჯგუფი „ბ“

ბრაზილია	2	2	0	5:1	4
ინგლისი	2	1	1	3:2	3
ბულგარეთი	2	0	2	1:6	2
უნგრეთი	2	0	2	1:4	2

ჯგუფი „გ“

ჩეხოსლოვაკია	2	2	0	4:1	4
ბრაზილია	2	1	1	4:3	3
ესპანეთი	2	0	2	1:4	2
მექსიკა	2	0	2	1:4	2

ჯგუფი „დ“

საბჭოთა კავშირი	2	1	1	4:4	3
იუგოსლავია	2	1	1	4:4	3
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა	2	1	1	3:2	3
არგენტინა	2	0	2	1:3	2

ჩეხოსლოვაკიის ნაკრები

ბოლო ორ მატჩში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ბრაზილიასა და ინგლისს ერთ-ერთ ერთ-ერთ ბურთი ივანოვმა გაიტანა. ორი წუთის შემდეგ პონედელნიკოხა და ჩისლენკოს ერთ-ერთ ერთ-ერთ ბურთი ივანოვმა გაიტანა. ორი წუთის შემდეგ პონედელნიკოხა და ჩისლენკოს დარტყმით და გოლით დამთავრდა, ბოლო მე-12 წუთზე ჩისლენკომ კარგად გაიყვანა ივანოვი და ეს მომენტიც გოლით დამთავრდა.

კორესპონდენტები სასწრაფოდ გადასცემდნენ თავის საგენტოებს — „რუსები მეთოდურად უტევენ, მანქანა რიტმულად მუშაობს, კოლუმბიელები განწირული არიან“. მართალია 21 წუთზე მარჯვენა გარემარბმა ასევოსმა იაშინის კარში პირველი ბურთი გაიტანა, მაგრამ სპორტულ კომენტატორებზე ამას შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. მართლაც ძნელი დასაჯერებელია ასეთი ანგარიშის შემდეგ ფრე.

მოტყუვდა ყველა, არა მარტო კორესპონდენტები, არამედ თვით ჩვენი ფეხბურთელებიც. მას შემდეგ რაც 57-ე წუთზე პონედელნიკმა მეოთხეჯერ შეარხია ბადე და ანგარიში 4:1 გახდა, გავიდა ოცი წუთი და მოწინააღმდეგეთა კარზე გამოჩნდა — 4:4. შეიცვალა ანგარიში და განწყობილება, თამაშის მსვლელობა. და აი კვლავ

ჩილეში ჰოროსკოპი

ბოლოს ბრაზილიელებიც

ბრაზილიელ ფეხბურთელებს ბრწყინვალე ბედი ეწიათ. ბრაზილიელებმა ინგლისელებს ბოლოს ბრაზილიელებიც ინგლისელებს ბოლოს ბრაზილიელებიც ინგლისელებს ბოლოს ბრაზილიელებიც